„ვამტკიცებ“

სკოლის დირექტორი:

ნ.ჩხარტიშვილი

Nikoloz Chkhartishvili 01011053416

Digitally signed by Nikoloz Chkhartishvili
Date: 2023.09.08 11:40:19

შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება

1.ზოგადი დებულება

1.1 შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლუსის“ მოსწავლეთა თვითმმართველობა არის სკოლის შემადგენლობაში არსებული მოსწავლეთა წარმომადგენლობითი ორგანო, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულებითა და მართვის ორგანოებით, რომელიც ფინქციონირებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, კანონქვემდებარე აქტებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, როგორც სკოლის შიგნით, ისე მის გარეთ.
1.2 მოსწავლეთა თვითთმმართველობა ირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 1 წლის ვადით საბაზო და საშუალო სწავლების საფეხურებზე მყოფი თითოეული კლასის წარმომადგენლებისგან.
1.3 მოსწავლეთა თვითმმართველობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.მოსწავლეთა თვითმმართველობის მიზნები

2.1 თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს მოსწავლეთა უფლებები და ინტერესები როგორც სკოლაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.
2.2 დაეხმაროს მოსწავლეებს განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში.
2.3 ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ინტეგრაციას საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში მათი ჩართულობა.
2.4 ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თვითშეგნების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე თავისი უფლება–მოვალეობების გაცნობიერება და ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და აქთიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, ტოლერანტულობის ამაღლება.

3.უფლება-მოვალეობები

3.1 იცავს სკოლის მოსწავლეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.
3.2 გეგმავს, ორგანიზებას უწევს მოსწავლეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს.
3.3 თანამშრომლობს სხვა სასკოლო, სამთავრობო და არასამთავრობო, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან
3.2 მიზნების მისაღწევად ახორციელებს ზოგადი და საშუალო განათლების შესახებ საქართველოს კანონით, სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4.თვითმმართველობის წევრი

4.1 მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი არის საარჩევნო დებულებით დადგენილი წესით არჩეული მოსწავლე.
4.2 მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი არის თავისი კლასის წარმომადგენელი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს დებულებით განსაზღვრული წესით.
4.3 მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ სკოლის VII-XII კლასის მოსწავლე.
4.4 მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 1 წლით.
4.5მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილება იწყება ახლადარჩეული თვითმმართველობის საბჭოს პირველი სხდომის მომენტიდან და მთავრდება მომავალი წლის თვითმმართველობის საბჭოს პირველი სხდომისთანავე.
4.6 მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრობის სტატუსის ვადამდე ადრე შეჩერების საფუძველი შეიძლება გახდეს:
4.6.1 პირადი განცხადება.
4.6.2 მოსწავლის სტატუსის შეჩერება.
4.6.3 სკოლის შინაგანაწესის ან მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული წესების უხეში დარღვევა.
4.6.4 არასაპატიო მიზეზით, თვითმმართველობის შეკრების ზედიზედ 5–ჯერ გაცდენა
<u>4.7 თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:</u>
4.7.1 მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშობაში.
4.7.2 დაიკავოს მოსწავლეთა თვითმმართველობაში ნებისმიერი თანამდებობა.
4.7.3 დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებებით მიმართოს სასკოლო მართვის ორგანოებს.
4.7.4 მიიღოს მონაწილეობა თვითმმართველობის მიერ გამართულ ღონისძიებებში ან თავად განახორციელოს ისინი.
4.7.5 მიიღოს კანონის მიხედვით ხელმისაწვდომი ინფორმაცია სკოლის მართველობის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ.
<u>4.8 მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:</u>

4.8.1 შეასრულოს დებულების გათვალისწინებით მასზე დაკისრებული მოვალეობები.
4.8.2 მიიღოს აქტიური მონაწილეობა მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობაში.
4.8.3 დაესწროს თვითმმართველობის კრების და კლუბების სხდომებს.
4.8.4 დაიცვას სკოლისა და სასკოლო თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება.

5.მოსწავლეთა თვითმმართველობის სტრუქტურა

5.1 მოსწავლეთა თვითმმართველობის საერთო კრება.
5.2 მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე.
5.3 თავმჯდომარის მოადგილე, თანაშემწეები და მდივანი.
5.4 თვითმმართველობის კლუბები.

6. მოსწავლეთა თვითმმართველობის საერთო კრება.

6.1 მოსწავლეთა თვითმმართველობის საერთო კრება არის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.
6.2 მოსწავლეთა თვითმმართველობის საერთო კრება იკრიბება ყოველკვირეულად.
6.3მოსწავლეთა თვითმმართველობის საერთო კრების რიგგარეშე სხდომა იმართება თვმჯდომარის ან თვითმმართველობის 1/3-ის მოთხოვნით.

7.მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე.

7.1 მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე არის თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც თავმჯდომარეობს საერთო კრებას და წარმოადგენს თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობებში.
7.2 მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე შეიძლება იყოს სკოლის IX-XI კლასის მოსწავლე, რომელიც სკოლა „ინტელექტ-პლიუსში“ სწავლობს არანაკლებ ორი სასწავლო წლისა.
7.3 მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე ირჩევა თვითმმართველობის საბჭოს პირველ სხდომაზე, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 1 წლის ვადით
7.4 სასკოლო თვითმმართველობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:
7.4.1 პირადი განცხადება.
7.4.2 მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა.
7.4.3 სკოლის წესდების ან მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული წესების უხეში დარღვევა.
7.5.თავმჯდონარე არის მრჩეველთა საბჭოს წევრი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებში
7.6 მოსწავლეთა თვითმმართველობის მდივანს, მოადგილესა და თანაშემწეს ირჩევს თვითმმართველობის თვითმმართველობის საბჭო თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 1 წლის ვადით

7.7 კლუბების შექმნა შეუძლია მოსწავლეთა თვითმმართველობის 1/5-ს, ამისთვის მათ უნდა წარუდგინონ თვითმმართველობის თავმჯდომარეს კლუბის წესდება და სამოქმედო გეგმა.

8.დასკვნითი დებულება

წინამდებარე დებულება ძალაში შევიდეს სკოლის პედაგოგიურ საბჭოს მიერ დამტკიცებისა და სკოლის დირექტორის მიერ ხელის მოწერისთანავე.